შპს“ალფა დისტრიბუშენი“

საწყისი ფინანსური ანგარიშგება და განმარტებები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 3

საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება..... 4-5

საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება 5

საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები..... 6 - 16

საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერთეულ ლარში

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	31/12/2019	31/12/2018	01/01/2018
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	866 500	200 800	152 400
სავაჭრო მოთხოვნები	4	9 523 608	5 228 998	5 325 283
გადახდილი ავანსები	4	-	412 262	538 971
მარაგები		2 423 954	1 373 729	3 614 168
მზა პროდუქცია	5	2 423 954	1 373 729	3 614 168
სხვა		-	-	-
საინვესტიციო ქონება		-	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-	-
ბიოლოგიური აქტივები		-	-	-
თვითღირებულების მოდელით		-	-	-
გადაფასების მოდელით		-	-	-
გუდვილი		-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები		-	-	-
ძირითადი საშუალებები	6	284 395	303 756	333 504
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		211 830	-	-
სულ აქტივები		**13 310 287**	**7 519 545**	**9 964 326**
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება		237 799	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	7	11 806 450	7 654 819	11 251 202
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	7	202 447	121 469	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		-	-	-
საგადასახადო ვალდებულებები		48 542	159 954	130 989
გამოუმუშავებელი შემოსავალი		-	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	7	1 010 767	535 320	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		-	-	-
მიღებული გრანტები		-	-	-
სხვა ვალდებულებები		-	-	-
სულ ვალდებულებები		**13 103 558**	**8 471 562**	**11 382 191**
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		0	0	0
საემისიო შემოსავალი		0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	8	156 746	-1 002 000	- 1 467 848
გადაფასების რეზერვი	8	49 983	49 983	49 983
სხვა რეზერვები		0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი		206 729	-952017	-1417865
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**13 310 287**	**7 519 545**	**9 964 326**

საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერთეულ ლარში

საქმიანობის შედეგები	შენიშვნა	2019	2018
ნეტო ამონაგები		**26 965 149**	**13 444 513**
საქონლის გაყიდვიდან	1	26 599 564	13 163 160
მომსახურების გაწევიდან	1	365 585	263 673
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		0	0
სხვა	1	0	17 680
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		**-25 275 887**	**-12 240 487**
საწყისი მარაგები		1 373 729	3 614 168
მარაგების შესყიდვა		26 326 112	10 000 048
გადამუშავების დანახარჯები		0	0
საბოლოო მარაგები		2 423 954	1 373 729
საერთო მოგება		**1 689 262**	**1 204 027**
სხვა შემოსავალი		362 372	1 586
დასაქმებულთა ანაზღაურება		-472 010	-353 133
ცვეთა და ამორტიზაცია		-84 651	-33 717
საპროცენტო შემოსავალი:		0	3 567
საპროცენტო ხარჯი :		-77 743	-10 521
იჯარის ხარჯი		0	-60 954
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	2	-123 067	-75 536
სულ საოპერაციო ხარჯები		**-395 099**	**-528 708**
საოპერაციო მოგება		**1 294 163**	**675 319**
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები		-30 796	-555 477
მარაგები		53 615	268 599
სხვა არაფინანსური აქტივები		0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		-142 693	86 872
მიღებული დივიდენდები		0	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		-15 543	-9 465
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		**1 158 746**	**465 848**
მოგების გადასახადი		0	0
მოგება/(ზარალი)		**1 158 746**	**465 848**
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი		0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		1 158 746	465 848
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		-952 017	-1 417 865
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები		0	0
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		**206 729**	**-952 017**

საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერთეულ ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობა	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	668 440	67 784
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	0	0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	0	0
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	688 440	67 784
სავალუტო კურსის ეფექტი	-2 740	-19 384
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	200 800	152 400
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	866 500	200 800

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ალფა დისტრიბუშენი“ (ს/ნ 200270884) (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია-2009 წლის 10 თებერვალს. კომპანიის იურიდიული მისამართი არის საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორია . კომპანიის ფიზიკური მისამართია: საქართველო, თბილისი, ავეტიკ ისააკიანის ქუჩის ჩიხი # 3

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 100%-იანი ბენეფიციარი მესაკუთრეა მიხაილ იუნი (831116399065, AA5269380). კომპანიის დირექტორია არჩილ მაღრაძე (პ/ნ 01005042050).

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა კომპიუტერული, ქსელური და საოჯახო ტექნიკის იმპორტი და საბითუმო გაყიდვა. კომპანია საქართველოს ტერიტორიაზე პროდუქციას ყიდის დისტრიბუციის საკუთარი არხების მეშვეობით.

კომპანიის ძირითადი კლიენტები არიან საცალო გამყიდველები და სავაჭრო ორგანიზაციები.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

შპს ალფა დისტრიბუშენი არის ამერიკული კომპანია Abris Distribution INC-ის გენერალური პარტნიორი საქართველოში, რომელთანაც თანამშრომლობს დაარსების დღიდან. ალფა დისტრიბუშენი Abris Distribution INC-ის საშუალებით ანხორციელებს ისეთი ცნობილი ბრენდების საქონლის იმპორტსა და რეალიზაციას როგორიცაა Cisco, Extreme Networks, Huawei, Checkpoint, Packetlight, Netapp, EMC, Axis, Pelco, NEC, RAD, Acer, Canon და სხვა. კომპანიის მიზანია ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და რეგიონალური კეთილდღეობის გარემოს გაუმჯობესება ინოვაციური, მაღალი ხარისხის პროდუქტებისა და მომხმარებლების მხარდაჭერის გზით.

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული.

წინამდებარე წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე, გარდა რეალური ღირებულებით შეფასებული გამჟღავნების მიზნებისთვის წარმოდგენილი გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომელიც განმარტებულია ქვემოთ მოცემულ პოლიტიკებში. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. ამ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამჟღავნების მიზნებისთვის რეალური ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე.

გარდა ამისა, წინასწარი ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი ღირებულების დასადგენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლების მეშვეობითაც დგინდება რეალური ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს ;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის ;
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის წინასწარ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ელემენტები აღრიცხულია კომპანიის საოპერაციო ეკონომიკური გარემოს პირველად ვალუტაში („ფუნქციონალური ვალუტა“). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“). კომპანიის წინასწარი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტაა ლარი.

ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩაითვლება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ხარჯები შემოსავლიდან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ იქვითება, თუ ამის ვალდებულებას ან უფლებას რომელიმე სტანდარტი ან ინტერპრეტაცია არ აწესებს ან არ არის განმარტებული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკებში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აისახება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალს აკლდება საქონლის დაბრუნების, ფასდათმობებისა და სხვა მსგავსი შეღავათების სავარაუდო ღირებულება.

საქონლის რეალიზაცია

საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი აღიარდება საქონლის მიწოდებისა და მასზე უფლებების გადაცემის შემდეგ, ყველა ჩამოთვლილი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანია აღარ ინარჩუნებს გაყიდული საქონლის ფლობასთან დაკავშირებული ხარისხის მენეჯერულ მონაწილეობას ან მასზე ეფექტურ კონტროლს;
- შემოსავლის ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია;
- სავარაუდოა, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის მიმღები იქნება კომპანია; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია.

უცხოური ვალუტა

კომპანიის წინასწარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული

არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მატი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვება.

წინასწარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2019	**1 იანვარი 2019**
ლარი /1 აშშ დოლარი	2.8677	2.6727
ლარი /1 ევრო	3.2095	3.0597

გადასახადები

მოგების გადასახადები

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით. ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით განაწილდებოდა.

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წესი კომპანიისათვის ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადარიცხვა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგების გადასახადის“ ჯგუფში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან.

ზემოთ ჩამოთვლილ სხვა კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ჯგუფში „გადასახადები და მოსაკრებლები“.

ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შედეგად, კომპანიამ შეწყვიტა მოგების გადასახადის ხარჯის აღიარება მოგების მიღების მომენტში და მოგების გადასახადს დაარიცხავს მოგების განაწილების შემთხვევაში. ყველა გადავადებული საგადასახადო ბალანსი გამოთავისუფლდა და აისახა 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის

მიწოდებისთანავე. შემენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული შემდგომში დაგროვილი ცვეთა ან/და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების თავიდან მოშორება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება თუკი ხარჯებიდან წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებელი. შეკეთება-შენარჩუნების უმნიშვნელო ღირებულება აღიარდება ხარჯებში მათი გაწევის დროს.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არის თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა ახორციელებს აღდგენის თანხის ხარჯთაღრიცხვას, რომელიც განსაზღვრულია როგორც აქტივის სამართლიან ღირებულებას გამოკლებული ხარჯები და გამოყენების ღირებულებას შორის უფრო მაღალი. საბალანსო ღირებულება აღდგენად ღირებულებამდე მცირდება, ხოლო გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება. წინა წლებში აქტივზე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგება იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი ჰქონდა ცვლილებას აქტივის გამოყენებული ღირებულების ან სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობის გაანგარიშებაში.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებასა და სხვა სრულ შემოსავლებში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯების ჯგუფში.

საწარმოო, მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნით მშენებარე უძრავი ქონება აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების აღიარებული ზარალის გამოკლებით. თვითღირებულებაში შედის პროფესიული ჰონორარები, ხოლო კვალიფიციური აქტივებისათვის - კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად კაპიტალიზებული სესხის აღების ხარჯები. ამგვარი უძრავი ქონება ძირითადი საშუალების შესაბამის კატეგორიად კლასიფიცირდება დასრულებისა და გამიზნული მოხმარებისათვის გამზადების შემდეგ. ამ აქტივების ცვეთა, სხვა უძრავი აქტივების მსგავსად, იწყება მათი გამიზნული მოხმარებისათვის გამზადების შემდეგ.

მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება. ძირითადი საშუალებების სხვა ნივთებზე ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სასარგებლო სასიცოცხლო ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე :

შენობა-ნაგებობები	20 წელი
მანქანა-დანადგარები	5-7 წელი
საოფისე ტექნიკა	3-5 წელი
ავეჯი	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი

როდესაც ძირითადი საშუალების აღიარება უქმდება რეალიზაციისას ან მაშინ, როდესაც ამ აქტივის მოხმარებით ეკონომიკური სარგებლის მიღება ნავარაუდევი აღარაა. ნებისმიერი მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციის ან ჩამოწერის შედეგად განისაზღვრება როგორც სხვაობა რეალიზაციით მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. მარაგების ღირებულება დგინდება FIFO მეთოდით. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტების საკონტრაქტო პირობების მხარე. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით. ამ დროს მათ სამართლიან ღირებულებას ემატება ან აკლდება ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესყიდვას ან გამოშვებას. მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შესყიდვასთან პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ხარჯები დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: მოგებაში-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები, დაფარვამდე ფლობილი ინვესტიციები, სავაჭროდ ფლობილი ფინანსური აქტივები და სესხები და მოთხოვნები. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების ბუნებასა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება მათი თავდაპირველი აღიარებისას.

კომპანიის ფინანსურ აქტივებს ძირითადად შეადგენს ფული და ფულის ექვივალენტები და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც სესხები და მოთხოვნები.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლის განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (მათ შორის ტრანზაქციის ხარჯების, სხვა პრემიუმებისა და ფასდათმობების და იმ გადახდილი ან მისაღები საკომისიოებისა და ქულების დისკონტირებას, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს) დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისგან განსხვავებული სავალო ინსტრუმენტების შემთხვევაში, მოგება აღიარდება ეფექტური პროცენტის საფუძველზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს ბანკში რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვეზე ნაკლებია.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ კვოტირდება აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები (მათ შორის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ბალანსები ბანკებში და ნაღდი ფული) აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების გამოკლებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. აღნიშნული არ ეხება მოკლევადიან მოთხოვნებს, სადაც დისკონტირების ეფექტი უმნიშვნელოა.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივები, გარდა მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულისა, გაუფასურებაზე მოწმდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ არსებობს იმის ობიექტური საფუძველი, რომ ერთი, ან რამდენიმე გარემოება გავლენას ახდენს ინვესტიციებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემოდინებაზე.

ყველა სხვა ფინანსური აქტივისათვის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება გულისხმობდეს შემდეგს:

- გამომშვების ან კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე; ან
- კონტრაქტის დარღვევა, როგორიცაა დეფოლტი ან გადახდისუუნარობა საპროცენტო ან ძირითად თანხებთან მიმართებაში; ან
- დეფოლტი ან გადახდისუუნარობა საპროცენტო ან ძირითად თანხებთან მიმართებაში; ან
- სავარაუდოა, რომ მსესხებელმა გამოაცხადოს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის შესაძლებლობა; ან
- აღნიშნული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაქრობა ფინანსური სირთულეების გამო.

ფინანსური აქტივების ზოგიერთი კატეგორიის შემთხვევაში, როგორიცაა სავაჭრო მოთხოვნები, აქტივები გაუფასურებაზე მოწმდება ჯგუფურად მაშინაც კი, თუ ინდივიდუალურად შეფასებისას დადგინდა, რომ გაუფასურებული არ არის. მოთხოვნების პორტფელის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება იყოს კომპანიის წარსულ გამოცდილებას გადახდების აკრეფასთან დაკავშირებით, 60 დღიანი საშუალო საკრედიტო პერიოდზე მეტით დაგვიანებული გადახდების რიცხვის ზრდას, ან ქვეყნის ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების დაკვირვებად ცვლილებებს, რომლებიც შესაბამისობაშია მოთხოვნებზე არსებულ დეფოლტთან.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის აღიარებული ოდენობა წარმოადგენს სხვაობას აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივის მიმდინარე საბაზრო უკუგების განაკვეთით დისკონტირებული მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. ამგვარი გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდებში არ აღდგება.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებას გაუფასურების დანაკარგები პირდაპირ აკლდება, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა. ამ შემთხვევაში საბალანსო ღირებულება მცირდება ანარიცხების ანგარიშის მეშვეობით. როდესაც სავაჭრო მოთხოვნის ამოღება შეუძლებლად ითვლება, იგი ჩამოიწერება ანარიცხების ანგარიშის

გამოყენებით. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების აღდგენა აისახება ანარიცხების ანგარიშზე. გაუფასურების რეზერვის საბალანსო ღირებულების ანგარიშის ცვლილება აისახება მოგებაში ან ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ გაუფასურების ხარჯი შემდგომ პერიოდში შემცირდა და ეს კლება ობიექტურად შეიძლება უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდება ადრე აღრიცხული გაუფასურების ხარჯის გაუქმება მოგება-ზარალში ისე, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება გაუფასურების ხარჯის გაუქმების შემდეგ არ აჭარბებდეს ამორტიზებულ ღირებულებას გაუფასურების აღიარების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებს და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები, ნასესხები სახსრებისა და სავაჭრო და სხვა გადასახდელების ჩათვლით, თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით. შემდგომში ისინი აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. სხვაობა აღიარება-შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

2020 წლის 1 ივნისს ძალაში შევიდა ცვლილებები ფასს 16-ში, რომელიც გამოიყენება საიჯარო ქირის იმგვარ დათმობასთან მიმართებით, რომლებიც წარმოიშობა კოვიდ-19-ის პანდემიის პირდაპირი შედეგის სახით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებული იქნება ყველა შემდეგი პირობა:

(ა) საიჯარო გადახდების ცვლილება იწვევს იჯარის ანაზღაურების ოდენობის ცვლილებას/გადახედვას, მაგრამ იჯარის ანაზღაურების შესწორებული ოდენობა ძირითადად იგივეა ან ნაკლებია იჯარის ანაზღაურების იმ ოდენობაზე, როგორიც იყო უშუალოდ საიჯარო გადახდების ცვლილების წარმოშობამდე;

(ბ) საიჯარო გადახდების შემცირება ეხება მხოლოდ ისეთ გადახდებს, რომლებიც თავდაპირველი ხელშეკრულების თანახმად გადახდას ექვემდებარებოდა არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივნისისა; და

(გ) იჯარის ვადებსა და პირობებში არ შესულა სხვა არსებითი ცვლილებები.

საიჯარო ქირის დათმობები, რომლებიც აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ პირობებს, შეიძლება აღრიცხულ იქნას გამარტივებული მიდგომის შესაბამისად, რაც ნიშნავს, რომ მოიჯარე არ შეაფასებს, იჯარის მოდიფიკაციას წარმოადგენს თუ არა საიჯარო ქირის დათმობა. დათმობების აღრიცხვისას მოიჯარეები იყენებენ ფასს 16-ის სხვა მოთხოვნებს.

კომპანიამ აირჩია გამოიყენოს გამარტივებული მიდგომა საიჯარო ქირის ყველა დათმობისთვის, რომლებიც აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ პირობებს. კომპანიამ გამარტივებული დათმობა გამოიყენა რეტროსპექტულად, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი გამოყენებულია ყველა დათმობაზე, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს 2020 წლის მარტიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

საიჯარო ქირის დათმობის აღრიცხვა რომ მომხდარიყო, როგორც საიჯარო მოდიფიკაციები, კომპანიას მოუწევდა საიჯარო ვალდებულებების თავიდან შეფასება, ანაზღაურებაში შესაბამისი ცვლილებების ასახვის მიზნით, განახლებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, აქტივების გამოყენების უფლებაში შესაბამისი ეფექტის გათვალისწინებით. გამარტივებული მიდგომის შესაბამისად, კომპანია არ არის ვალდებული შეაფასოს საპროცენტო განაკვეთის ცვლილება და შედეგად საიჯარო ვალდებულების ცვლილების ეფექტი აისახება მოგებაში ან ზარალში, იმ პერიოდში, რომელშიც ხდება მოვლენა ან პირობები, რომელიც იწვევს საიჯარო ქირის დათმობას.

საკრედიტო რისკის მართვა

კომპანიას ეკისრება საკრედიტო რისკი, რომელიც არის იმის რისკი, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს სრულად მოთხოვნის დაფარვას ვადის დადგომისას. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად იწვევს ამ რისკს, ძირითადად შედგება სავაჭრო მოთხოვნებისა და ფულისა და ფულის ექვივალენტებისგან. კომპანიაში მოქმედებს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ საქონელი მიეწოდოს ისეთ კლიენტებს, რომელთაც სათანადო საკრედიტო ისტორია გააჩნიათ. სხვა შემთხვევაში, შემოდის გადახდის ალტერნატიული პროცედურები (მაგალითად, წინასწარ გადახდის). სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა ამოღებაზე ეკონომიკური ფაქტორებიც მოქმედებს, ხელმძღვანელობის აზრით, კომპანიას ზარალის დიდი რისკი, გარდა უკვე აღრიცხული რეზერვებისა, არ ემუქრება.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად მერყეობს და დამოკიდებულია როგორც ინდივიდუალურ, აგრეთვე ზოგად საბაზრო ეკონომიკის რისკებზე.

ლიკვიდობის რისკის მართვა

ლიკვიდობის რისკი გულისხმობს ვადადამდგარ ფინასურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად საკმარისი თანხების არსებობას.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 28 სექტემბერს

შენიშვნები:

ნეტო ამონაგები

	2019	2018
შემოსავალი ადგილობრივი გაყიდვებიდან	26 347 526	12 128 107
შემოსავალი უცხოური გაყიდვებიდან	252 038	1 035 052
შემოსავალი მარკეტინგული მომსახურებიდან	365 585	263 673
სხვა შემოსავალი		17 680
ჯამი:	26 965 149	13 444 513

1. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2019	2018
საკონსულტაციო ხარჯები	1 100,00	11 500,00
საწვავის ხარჯი	16 115,28	9 844,05
ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯი	8 156,70	
დაზღვევა	7 777,30	9 452,50
ინტერნეტის ხარჯი	6 815,75	7 274,06
სხვა საერთო ხარჯები	37526,78	6 888,51
მივლინების ხარჯები	17 129,62	4 618,00
მანქანის ხარჯები	5 036,68	4 169,36
ბანკის ხარჯი	5 496,38	3 582,42
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები		2 982,49
ელექტროენერგიის ხარჯი	3 054,03	2 926,96
გაზის ხარჯი	2 697,64	2 872,88
კომუნიკაციის ხარჯები	2 771,81	2 487,55
სხვა საგადასახადო ხარჯი	2 105,06	2 182,02
სამეურნეო ხარჯები	4 401,72	1 931,50
კომუნალური ხარჯი	1 499,25	1 440,78
დაცვის ხარჯი	1 383,00	1 383,00
ჯამი: ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	- 123 067	- 75 536

3. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2019 წელი	**2018 წელი**
	ლარი	ლარი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	101 890	117 226
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	745 602	53 844
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	19 009	29 730
	866 500	**200 800**

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019	2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	9 726 009	5 730 439
გაუფასურების რეზერვი სავაჭრო მოთხოვნებზე	-622 894	-501 441
ჯამი:	**9 103 115**	**5 228 998**
მომწოდებლისათვის გადახდილი ავანსები	420 493	538 971
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**9 523 608**	**5 767 969**

5. მარაგები

	2019	2018
მარაგები საწყობში	1 625 944	1 772 686
მარაგები საბაჟოზე	1 118 522	0
სხვა მარაგები	426	0
	2 744 892	1 772 686
მარაგების გაუფასურების რეზერვი	-320 938	-398 957
სულ მარაგები	**2 423 954**	**1 373 729**

6. ძირითადი საშუალებები

	მიწა	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების რემონტი	სულ
ისტორიული ღირებულება						
01.იან.19	**227 760**	**89 351**	**8 612**	**68 000**	**7 962**	**401 684**
შესყიდვა	-	9 044	2 475	8 153	-	**19 671**
ჩამოწერა	-	-		(7 337)	-	**-7 337**
31.დეკ.19	**227 760**	**98 395**	**11 087**	**68 815**	**7 962**	**414 018**
დაგროვილი ცვეთა						
01.იან.19		**59 470**	**7 859**	**27 313**	**3 287**	**97 929**
ცვეთის ხარჯი		14 565	854	15 065	1 209	**31 694**
შემცირება ჩამოწერის შედეგად						**0**
31.დეკ.19		**74 035**	**8 713**	**42 378**	**4 496**	**129 623**
წმინდა საბალანსო ღირებულება:						
01.იან.19	**227 760**	**29 881**	**753**	**40 687**	**4 675**	**303 756**
31.დეკ.19	**227 760**	**24 359**	**2 373**	**26 437**	**3 465**	**284 395**

7. სავაჭრო ვალდებულებები

	2019	2018
საიჯარო ვალდებულება	237 799	
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	11 806 450	7 654 819
გაუფასურების რეზერვი მომწოდებლებზე გადახდილი ავანსიდან	0	121 469
საგადასახადო ვალდებულებები	48 542	159 954
ბანკისგან მიღებული კრედიტი	1 010 767	535 320
	13 103 558	**8 471 562**

8. საწესდებო კაპიტალი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	**0**	**-952 017**	**-952 017**
სულ წლის სრული შემოსავალი	-	1 158 746	1 158 746
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	**0**	**206 729**	**206 729**

შპს „ალფა დისტრიბუშენი“-ს

დირექტორი: არჩილ მაღრაძე